საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

04/03/2025

MES 6 25 0000423997

გადაწყვეტილება

შპს კავკასიის უნივერსიტეტის და რენის ბიზნესის სკოლის (საფრანგეთი) "ბიზნესის ადმინისტრირების“ ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. ცენტრის დირექტორის ბრძანება №1228334, 27/09/2024, "აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს კავკასიის უნივერსიტეტის და რენის ბიზნესის სკოლის (საფრანგეთი) ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ ერთობლივ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების თაობაზე. ბრძანებაში ცვლილება № 1435668, 07/11/2024).

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 1.2 და 1.4 კომპონენტებში გაცემული რეკომენდაციები გადაიტანა რჩევებში. შედეგად, აღნიშნული კომპონენტები და მთლიანად პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^7 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ შპს კავკასიის უნივერსიტეტის და რენის ბიზნესის სკოლის (საფრანგეთი) "ბიზნესის ადმინისტრირების“ ერთობლივ

ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 26 თებერვლამდე.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს კავკასიის უნივერსიტეტის და რენის ბიზნესის სკოლის (საფრანგეთი) "ბიზნესის ადმინისტრირების“ ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 4 მარტის № 224606 სხდომის ოქმის №6 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას განესაზღვროს შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები შესასრულებლად:

რეკომენდაციები:
არ არის განსაზღვრული

რჩევები:

1. სასურველია გადაიხედოს მე-2 და მე-5 სწავლის შედეგები უფრო სპეციფიკური დეტალების გასათვალისწინებლად, იმისათვის, რომ მკაფიოდ განისაზღვროს მათი გაზომვის მექანიზმები;
2. სასურველია პროგრამას სავალდებულო მოთხოვნის სახით დაემატოს "მენეჯმენტის საფუძვლები" და განისაზღვროს სპეციალიზებული მენეჯმენტის კურსების წინაპირობად;
3. სასურველია, სწავლის შედეგების მიღწევის დონეები განაწილდეს ლოგიკური თანმიმდევრობით: გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სასწავლო კურსებისთვის, სადაც ამჟამად არ არის დაცული პროგრესული სწავლების პრინციპი. სამივე სასწავლო წლის განმავლობაში კურსების განაწილებამ უნდა უზრუნველყოს ცოდნის ეტაპობრივი გაღრმავება და კომპეტენციების უწყვეტი განვითარება. აღნიშნული ხელს შეუწყობს სწავლის შედეგების უფრო ეფექტურ მიღწევას და სტუდენტების აკადემიური განვითარების ლოგიკურ პროგრესიას;
4. სასურველია, სასწავლო პროგრამის შესაბამისად შემუშავდეს სილაბუსების ერთნაირი სტრუქტურა და შეფასების სისტემა;
5. სასურველია, გადაიხედოს ყველა საგანი, დაემატოს უფრო აქტუალური ლიტერატურა და დამატებითი საკითხავი მასალა იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ უფრო სიღრმისეულად შეისწავლონ საგანი;
6. სასურველია, კავკასიის უნივერსიტეტი რეგულარულად იღებდეს განახლებულ ინფორმაციას რენის ბიზნესის სკოლის სტაჟირების განმახორციელებელი კომპანიების ჩამონათვალის და სტაჟირებაში მონაწილე სტუდენტების რაოდენობის შესახებ;
7. ვინაიდან საბაკალავრო პროგრამა წარმოადგენს ერთობლივ ძალისხმევას, სასურველია, რომ რენის უნივერსიტეტის წარმომადგენლები იყვნენ ერთიანი და დამტკიცებული თვითშეფასების გუნდის განუყოფელი წევრები;
8. სასურველია, კავკასიის უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გარე კოლეგიალური შეფასების კონკრეტული შაბლონი თანმიმდევრული და შესადარებელი გარე ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 26 თებერვლიდან.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო

დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ელექტრონული